**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბიუროს გადაწყვეტილება სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ**

ოქმი 16 | 18 სექტემბერი, 2019 წელი

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტები – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე** (№79, 09.09.2019წ.)

| დასახელება | |
|---|---|
| ავტორი | ინიციატორი |
| დ.გაბაიძე, მ.კარანაძე, დ.ბაციკაძე, ი.ვერძაძე, ი.ჭეიშვილი, ნ.ჩხეტია, ნ.სურმანიძე, ვ.წულაძე, ც.ანანიძე, გ.მანველიძე, ვ.მგალობლიშვილი, დ.თედორაძე, ხ.შარაშიძე, გ.რომანაძე | დ.გაბაიძე, მ.კარანაძე, დ.ბაციკაძე, ი.ვერძაძე, ი.ჭეიშვილი, ნ.ჩხეტია, ნ.სურმანიძე, ვ.წულაძე, ც.ანანიძე, გ.მანველიძე, ვ.მგალობლიშვილი, დ.თედორაძე, ხ.შარაშიძე, გ.რომანაძე |

| წამყვანი კომიტეტი |
|---|
| საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტი |

| შემოსვლის თარიღი | საკომიტეტო მოსმენის ვადა | სხდომაზე განხილვის თარიღი |
|---|---|---|
| 09.09.2019წ. | | 2019 წლის საშემოდგომო სესია |

| კომიტეტი, რომლის დასკვნა სავალდებულოა |
|---|
| |

უმაღლესი საბჭოს ბიურო ადგენს:
უმაღლესი საბჭოს კომიტეტებსა და ფრაქციებში დაიწყოს სამართლებრივი აქტების პროექტების განხილვა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **დავით გაბაიძე**

**საქართველო**

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის**
**უმაღლესი საბჭოს წევრი**

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ჩაქვი, ბ. მეგენეიშვილის ქ. №25


საორგანიზაციო და საქმისწარმოების
დეპარტამენტის უფროსს

ბატონ გიორგი ბერიძეს

ბატონო გიორგი,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 107-ე მუხლის შესაბამისად, წარმოვადგენთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტებს – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

წარმოდგენილ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტებზე უმაღლესი საბჭოს კომიტეტებსა და პლენარულ სხდომებზე მომხსენებლები არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ნინო ჩხეტია.

გთხოვთ, მისცეთ შესაბამისი მსვლელობა.

დანართი: 8 -- ფურცელი


საქართველოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტი
09-01-08/79
9.09.2019
10 ფურცელი


პატივისცემით,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები:

1. ---------- / ----------
სახელი, გვარი ხელმოწერა

2. ---------- / ----------
სახელი, გვარი ხელმოწერა

3. ---------- / ----------
სახელი, გვარი ხელმოწერა

4. ---------- / ----------
სახელი, გვარი ხელმოწერა

5. ---------- / ----------
სახელი, გვარი ხელმოწერა

6. ---------- / ----------
სახელი, გვარი ხელმოწერა

7. ---------- / ----------
სახელი, გვარი ხელმოწერა

8. ---------- / ----------
სახელი, გვარი ხელმოწერა

9. ---------- / ----------
სახელი, გვარი ხელმოწერა

10. ---------- / ----------
სახელი, გვარი ხელმოწერა

11. ---------- / ----------
სახელი, გვარი ხელმოწერა

12. ---------- / ----------
სახელი, გვარი ხელმოწერა

13. ---------- / ----------
სახელი, გვარი ხელმოწერა

14. ---------- / ----------
სახელი, გვარი ხელმოწერა

<u>პროექტი</u>

# აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
# კონსტიტუციური კანონი

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში
## ცვლილების შეტანის შესახებ

**მუხლი 1.** აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე №16, 26.07.2008) მე-9 მუხლის:

**ა)** პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. უმაღლესი საბჭო შედგება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქეების მიერ საყოველთაო, თავისუფალი, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით 4 წლის ვადით პროპორციული სისტემით არჩეული 21 დეპუტატისაგან.“.

**ბ)** მე-4 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

**მუხლი 2.** ეს კანონი ძალაში შედის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ორგანული კანონის ძალაში შესვლისთანავე.

ჩაქვი,
2019 წლის
№

განმარტებითი ბარათი
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტზე
„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“

**ა) ზოგადი ინფორმაცია კონსტიტუციური კანონის პროექტის შესახებ:**

**ა.ა) კონსტიტუციური კანონის პროექტის მიღების მიზეზი:**

2017-18 წლებში განხორციელებული საკონსტიტუციო რეფორმის საფუძველზე, საქართველოში 1995 წლიდან მოქმედი შერეული საარჩევნო სისტემა შეიცვალა პროპორციული საარჩევნო სისტემით. აღნიშნული ცვლილება არის საკონსტიტუციო რეფორმის ერთ-ერთი უმთავრესი მიღწევა, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოში დემოკრატიული სისტემის შეუქცევად განვითარებას. ამასთან, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ პროპორციული საარჩევნო სისტემა პოლიტიკური სისტემის კონსოლიდაციისა და პარტიული სისტემის ინსტიტუციონალიზაციის მაღალ ხარისხს მოითხოვს, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება პროპორციული საარჩევნო სისტემის მომდევნო საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ამოქმედების შესახებ. შესაბამისი ნორმა აისახა 2017 წლის 13 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონის გარდამავალ დებულებებში.

თუმცა, უკანასკნელი პერიოდის მანძილზე განვითარებული პროცესებიდან გამომდინარე საქართველოს პარლამენტში ინიცირებული იქნა კონსტიტუციური ცვლილების პროექტი, რომელიც სრულად პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლას ითვალისწინებს უკვე მომდევნო საპარლამენტო არჩევნებიდან.

აღნიშნულის პარალელურად დღის წესრიგში დადგა საარჩევნო სისტემის შერეული მოდელის ცვლილების საკითხი, მათ შორის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისთვისაც.

**ა.ბ) კონსტიტუციური კანონის პროექტის მიზანი:**

კონსტიტუციური კანონის პროექტის მიზანია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები ჩატარდეს სრულად პროპორციული საარჩევნო სისტემით, რაც ხელს შეუწყობს პოლიტიკური სუბიექტებისთვის მაქსიმალურად თანასწორი საარჩევნო პირობების უზრუნველყოფას.

**ა.გ) კონსტიტუციური კანონის პროექტის ძირითადი არსი:**

კონსტიტუციური კანონპროექტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-9 მუხლის პირველი პუნქტი ყალიბდება ახალი რედაქციით, რომლის შესაბამისად, უმაღლესი საბჭო შედგება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქეების მიერ საყოველთაო, თავისუფალი, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით 4 წლის ვადით პროპორციული სისტემით არჩეული 21 დეპუტატისაგან.

პროექტის თანახმად, მე-9 მუხლიდან გათვალისწინებულია მე-4 პუნქტის ამოღება, რომელიც პროპორციული სისტემით ჩატარებული არჩევნებისათვის პოლიტიკური პარტიებისათვის უმაღლესი საბჭოს წევრთა მანდატების გადასანაწილებლად ადგენს 5 პროცენტიან საარჩევნო ბარიერს.

**ბ) კონსტიტუციური კანონის პროექტის ფინანსური დასაბუთება:**

**ბ.ა) კონსტიტუციური კანონის პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;**

კონსტიტუციური კანონის პროექტი არ საჭიროებს დამატებით ხარჯებს.

**ბ.ბ) კონსტიტუციური კანონის პროექტის გავლენა აჭარის ავტონომიური**

**რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;**

კონსტიტუციური კანონის პროექტი არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

**ბ.გ) კონსტიტუციური კანონის პროექტის გავლენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;**

კონსტიტუციური კანონის პროექტი არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე. მეტიც, საჭირო აღარ გახდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მაჟორიტარული არჩევნების მეორე ტურის გამართვასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევა.

**ბ.დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალი ფინანსური ვალდებულებები;**

კონსტიტუციური კანონის პროექტის მიღება არ წარმოქმნის ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

**ბ.ე) კონსტიტუციური კანონის პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება;**

კონსტიტუციური კანონის პროექტის მიღება არ წარმოშობს ფინანსურ შედეგებს.

**გ) კონსტიტუციური კანონის პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:**

**გ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში;**

კონსტიტუციური კანონის პროექტი მომზადდა პოლიტიკურ პარტიებთან კონსულტაციების შედეგად.

**გ.ბ) კონსტიტუციური კანონის პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ;**

ასეთი არ არსებობს.

**დ) კონსტიტუციური კანონის პროექტის ავტორი.**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები - დავით გაბაიძე, მერაბ კარანაძე, დავით ბაციკაძე, ილია ვერძაძე, ირაკლი ჭეიშვილი, ნინო ჩხეტია, ნუგზარ სურმანიძე, ვახტანგ წულაძე, ცოტნე ანანიძე, გიორგი მანველიძე, ვლადიმერ მგალობლიშვილი, დავით თედორაძე, ხვიჩა შარაშიძე, გიორგი რომანაძე.

**ე) კონსტიტუციური კანონის პროექტის ინიციატორი.**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები - დავით გაბაიძე, მერაბ კარანაძე, დავით ბაციკაძე, ილია ვერძაძე, ირაკლი ჭეიშვილი, ნინო ჩხეტია, ნუგზარ სურმანიძე, ვახტანგ წულაძე, ცოტნე ანანიძე, გიორგი მანველიძე, ვლადიმერ მგალობლიშვილი, დავით თედორაძე, ხვიჩა შარაშიძე, გიორგი რომანაძე.

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის იმ მუხლის მოქმედი სრული რედაქცია, რომელშიც წარმოდგენილი კონსტიტუციური კანონით ხდება ცვლილების შეტანა

### მუხლი 9. უმაღლესი საბჭოს არჩევნები

1. უმაღლესი საბჭო შედგება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქეების მიერ საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით 4 წლის ვადით პროპორციული სისტემით არჩეული 15 და მაჟორიტარული სისტემით არჩეული 6 დეპუტატისაგან.

2. უმაღლესი საბჭოს მორიგი არჩევნები ტარდება უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ვადის ამოწურვის კალენდარული წლის ოქტომბრის ბოლო შაბათს. თუ გამოცხადებულია საომარი მდგომარეობა ან საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე გამოცხადებულია საგანგებო მდგომარეობა, უმაღლესი საბჭოს არჩევნები ტარდება საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გაუქმებიდან 60 დღის ვადაში. არჩევნებს საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი წესით არჩევნებამდე არაუგვიანეს მე-60 დღისა ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი.

3. უმაღლესი საბჭოს წევრად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 25 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 5 წელი მაინც. უმაღლესი საბჭოს წევრად არ შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც სასამართლოს განაჩენით შეფარდებული აქვს თავისუფლების აღკვეთა.

4. პროპორციული სისტემით ჩატარებულ არჩევნებში უმაღლესი საბჭოს წევრთა მანდატები განაწილდება იმ პოლიტიკურ პარტიებზე, რომლებმაც არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 5 პროცენტი მაინც მიიღეს.

5. უმაღლესი საბჭოს არჩევის წესი განისაზღვრება საქართველოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით.

6. უმაღლესი საბჭოს არჩევნების შემაჯამებელ ოქმს საქართველოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით ადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია.

<u>პროექტი</u>

# აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
# კონსტიტუციური კანონი

## „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

**მუხლი 1.** „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 24.05.2018, სარეგისტრაციო კოდი: 010010010.04.001.016219) მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

**მუხლი 2.** ეს კანონი ძალაში შედის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის დამტკიცების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის ძალაში შესვლისთანავე.

ბაქვი,
2019 წლის
№

# განმარტებითი ბარათი
## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტზე „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

**ა) ზოგადი ინფორმაცია კონსტიტუციური კანონის პროექტის შესახებ:**

**ა.ა) კონსტიტუციური კანონის პროექტის მიღების მიზეზი:**

2018 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, პროპორციული სისტემით ჩატარებულ არჩევნებში მონაწილეობის უფლება მიეცათ მხოლოდ პოლიტიკურ პარტიებს, თუმცა იმავე კონსტიტუციური კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მომდევნო არჩევნებში პოლიტიკური პარტიების გარდა, ასევე მონაწილეობის უფლება მიეცათ საარჩევნო ბლოკებს.

უკანასკნელი პერიოდის მანძილზე განვითარებული პროცესებიდან გამომდინარე, როგორც ცნობილია მმართველი პოლიტიკური ძალის „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“-ს მიერ მიღებულია პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომ საქართველოს პარლამენტის მომდევნო და შემდგომი არჩევნები ჩატარდეს სრულად პროპორციული საარჩევნო სისტემით.

აღნიშნულის პარალელურად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში წარმოდგენილი „ქართული ოცნების“ დეპუტაციის მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება უმაღლესი საბჭოს შერეული საარჩევნო სისტემის შეცვლისა და სრულად პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ პროპორციული საარჩევნო სისტემა პოლიტიკური სისტემის კონსოლიდაციისა და პარტიული სისტემის ინსტიტუციონალიზაციის მაღალ ხარისხს მოითხოვს, მიღებულია გადაწყვეტილება, პროპორციული სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგად უმაღლესი საბჭოს წევრთა მანდატები განაწილდეს მხოლოდ პოლიტიკურ პარტიებზე.

**ა.ბ) კონსტიტუციური კანონის პროექტის მიზანი:**

კონსტიტუციური კანონპროექტის მიზანია, უმაღლესი საბჭოს მომდევნო არჩევნებისათვის ერთჯერადად დადგენილი იმ რეგულაციის გაუქმება, რომელიც ითვალისწინებს პოლიტიკური პარტიების საარჩევნო ბლოკების პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებულ არჩევნებში მონაწილეობას და შესაბამისად მათზე მანდატების გადანაწილებას.

**ა.გ) კონსტიტუციური კანონის პროექტის ძირითადი არსი:**

პროექტის შესაბამისად, ცვლილება შედის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2018 წლის 21 მარტის კონსტიტუციურ კანონში „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“, საიდანაც ხდება მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის ამოღება, რომელიც ერთჯერადად უმაღლესი საბჭოს მომდევნო არჩევნებში პოლიტიკურ პარტიებს აძლევდა საარჩევნო ბლოკების შექმნისა და არჩევნებში საარჩევნო ბლოკებით მონაწილეობის შესაძლებლობას.

**ბ) კონსტიტუციური კანონის პროექტის ფინანსური დასაბუთება:**

**ბ.ა) კონსტიტუციური კანონის პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;**

კონსტიტუციური კანონის პროექტი არ საჭიროებს დამატებით ხარჯებს.

**ბ.ბ) კონსტიტუციური კანონის პროექტის გავლენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;**

კონსტიტუციური კანონის პროექტი არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

**ბ.გ) კონსტიტუციური კანონის პროექტის გავლენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;**

კონსტიტუციური კანონის პროექტი არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

**ბ.დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალი ფინანსური ვალდებულებები;**

კონსტიტუციური კანონის პროექტის მიღება არ წარმოქმნის ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

**ბ.ე) კონსტიტუციური კანონის პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება;**

კონსტიტუციური კანონის პროექტის მიღება არ წარმოშობს ფინანსურ შედეგებს.

**გ) კონსტიტუციური კანონის პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:**

**გ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში;**

კონსტიტუციური კანონის პროექტი მომზადდა პოლიტიკურ პარტიებთან კონსულტაციების შედეგად.

**გ.ბ) კონსტიტუციური კანონის პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ;**

ასეთი არ არსებობს.

**დ) კონსტიტუციური კანონის პროექტის ავტორი.**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები - დავით გაბაიძე, მერაბ კარანაძე, დავით ბაციკაძე, ილია ვერძაძე, ირაკლი ჭეიშვილი, ნინო ჩხეტია, ნუგზარ სურმანიძე, ვახტანგ წულაძე, ცოტნე ანანიძე, გიორგი მანველიძე, ვლადიმერ მგალობლიშვილი, დავით თედორაძე, ხვიჩა შარაშიძე, გიორგი რომანაძე.

**ე) კონსტიტუციური კანონის პროექტის ინიციატორი.**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები - დავით გაბაიძე, მერაბ კარანაძე, დავით ბაციკაძე, ილია ვერძაძე, ირაკლი ჭეიშვილი, ნინო ჩხეტია, ნუგზარ სურმანიძე, ვახტანგ წულაძე, ცოტნე ანანიძე, გიორგი მანველიძე, ვლადიმერ მგალობლიშვილი, დავით თედორაძე, ხვიჩა შარაშიძე, გიორგი რომანაძე.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის იმ მუხლის მოქმედი
სრული რედაქცია, რომელშიც წარმოდგენილი კონსტიტუციური
კანონით ხდება ცვლილების შეტანა

მუხლი 2

1. ამ კანონის ამოქმედებისთანავე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომიტეტის უფლებამოსილებას იძენს ამ კანონის ამოქმედების დროისათვის მოქმედი უმაღლესი საბჭოს კომისია.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მომდევნო არჩევნებში პროპორციული სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგად უმაღლესი საბჭოს წევრთა მანდატები განაწილდება იმ პოლიტიკურ პარტიებზე და პოლიტიკური პარტიების საარჩევნო ბლოკებზე, რომლებიც მიიღებენ არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 5 პროცენტს მაინც.

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მომდევნო არჩევნებში არჩეული უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ცნობამდე ერთი პოლიტიკური პარტიის წარდგენით არჩეულ უმაღლესი საბჭოს წევრებს უფლება აქვთ შექმნან ერთზე მეტი ფრაქცია.